ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №6/06

თბილისი „6“„ივნისი“ 2014 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, შემდგომში „შემსყიდველი“, გენერალური დირექტორის ავთანდილ იმედაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“, შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ზურაბ ბრელიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, კლინიკის საჭიროებისათვის ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოების (CPV 38400000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნულ კლინიკას მოთხოვნილი საქონელი 1200.00 (ერთი ათას ორასი ლარი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1.

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	ბუნიკი ყვითელი 2-200ml, 1000 ცალი	ნაკრები	30	26,00	780.00
2	ბუნიკი ცისფერი 50-100ml 500 ცალი	ნაკრები	30	14,00	420.00
სულ					1200.00

4. მომსახურების გაწევის (საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების) პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

4.1.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 31 იანვრამდე.

4.1.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.2. ადგილი:

4.2. შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №29.

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;

5.2. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით.

6.2. „მიმწოდებელი“ საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;
8.2.2. აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;
8.2.3. შეცვალოს ანგარიშგების ფორმები დადგენილი წესით, რის შესახებაც ერთი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს „მიმწოდებელს".

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულ;ების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათან დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მე ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ერთი თვით ადრე.ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

14. განსაკუთრებული პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო ორი – „შემსყიდველთან".

<u>მხარეთა რეკვიზიტები</u>

<u>„შემსყიდველი"</u>	<u>„მიმწოდებელი"</u>
შპს „აკად. ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"	შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№29 ს/კ №205165453	ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. №51 ს/კ №202161640
ს.ს. „ბანკი ქართუ" ბ/კ №CRTUGE22 ა/ა №GE87CR0000000000023402	სს "პროკრედიტ ბანკი" ბ/კ №MMIBGGE22 ა/ა №GE37PC0133600100046123
_____ გენერალური დირექტორი ავთანდილ იმედაძე	_____ დირექტორი ზ. ბრელიძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „6 ივნისი, 2014წ."

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ "დამკვეთი" შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა", გენერალური დირექტორის ავთანდილ იმედაძის სახით და მეორეს მხრივ, "მიმწოდებელი" შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"-ს დირექტორის ზურაბ ბრელიძის სახით ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მოწოდებულია საქონელი 2014 წლის 6 ივნისის №6/06 ხელშეკრულების მიხედვით.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1200.00 (ერთი ათას ორასი ლარი) ლარს.
მოწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 1200.00 (ერთი ათას ორასი ლარი) ლარი.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „აკად. ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"	შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№29 ს/კ №205165453	ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. №51 ს/კ №202161640
ს.ს. „ბანკი ქართუ" ბ/კ №CRTUGE22 ა/ა №GE87CR0000000000023402	სს "პროკრედიტ ბანკი" ბ/კ №MMIBGGE22 ა/ა №GE37PC0133600100046123
---	---
გენერალური დირექტორი ავთანდილ იმედაძე	დირექტორი ზ. ბრელიძე